ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1865755

ნომერი: AR1286367

თარიღი : 17.03.2015

გაცემის თარიღი : 29.04.2015

გაცნობის თარიღი : 30.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 2 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N39 - ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ქობულია პ/ნ 01011009903
- თბილისი. გუდაურის ქ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1286367 17.03.2015წ. განაცხადის თაობაზე, რომლითაც ითხოვთ 03,12,2003 წლის #3106 სამშენებლო პასპორტში ცვლილების განხორციელებას, შენობის ფუნქციაში საოფისე შენობის ნაცვლათ მრავალფუნქციური შენობის (კომერციული ფართი, მაღაზია, ბანკი ან რესტორანი, ოფისი, სპორტული დარბაზი, საცხოვრებელი ფართები), ასევე დამკვეთის პოზიციაში და ნაცვლათ ს.პ.კ. "დავით ერისთავის იურიდიული ჯგუფი"ს შ.პ.ს. "ვაკე ჰილლ"–ის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსისთვის გაცემულია #3106 03,12,2003 სამშენებლო პასპორტი, რომლის საფუძველზეც შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (პროექტის შეთანხმების ბრძანების ნომერები #20/324 30.06.2004წ, #283 14.11.2007წ. #01/627 15.03.2012წ. მშენებლობის ნებართვა ნ/324 2004წ., ნ/1107 19.11.2007წ. ნ/636–1 2012წ. №1266048 19.05.2014წ.); ასევე ქ. თბილისის მერის 2009 წლის 31 მარტის #270 განკარგულებით ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. #2–ში არსებული მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ–2) განისაზღვრა 7.0–ით; რადგანაც გსურთ ახალი ფუნქციების დამატება, კოეფიციენტი კი ქ. თბილისის მერის განკარგულებით გამოცემული იქნა საოფისე კომპლექსისთვის, თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის საფუძველზე, საკითხი განკარგულებაში ცვლილების განსახორციელებლად გატანილი იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” სხდომაზე, რომლზედაც მიიღო უარყოფითი დასკვნა (საცხოვრებლი ფუნქციით ჩანაცვლებაზე); იმ შემთხვევაში თუ გსურთ მხოლოდ დამკვეთის ცვლილება, აღნიშნული ცვლილების განხორციელება საჭირო არ არის, ვინაიდან „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად დამკვეთს პირველ (I სტადია–მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები) და მეორე (II პროექტის შეთანხმება) სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე (III სტადია – მშენებლობის ნებართვა) დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.